

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

22 თებერვალი 2021 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, შოთა გიორგაძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტყარაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, დავით ხარძეიშვილი, აპოლონ რამიშვილი, გია ოჩხიკიძე, სანდრო ხურციძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს: ზვიად კაპანაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დაგეგნილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მიწის ნორმატიული ფასის ცვლილება არ მომხდარა, დარჩა ის რაც იყო 2020 წელში.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე კეთდება წყლის რეზერუარი, რომლითაც არქეოლოგიური მუზეუმს მიეწოდება წყალი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N3/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე